გაიმართა პირველი შეხვედრა პროექტ "SmaLog"-ის ფარგლებში

23 იანვარი 2018 წელი

სტუ-ს ლოგისტიკის დეპარტამენტის მონაწილეობით 2017 წლის 4-8 დეკემბერს, იტალიაში, ქ. რომში ჩატარდა პირველი შეხვედრა პროექტ SmaLog-ის ფარგლებში. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო პროექტში ჩართული უნივერსიტეტები იტალიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან და საქართველოდან, განხილულ იქნა პროექტის სამოქმედო გეგმა და შემდგომი ამოცანები.

პროექტი SmaLog (მაგისტრი ჭკვიან ტრანსპორტსა და ლოგისტიკაში ქალაქებისთვის) ხორციელდება ერაზმუსის პროექტის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობს სტუს-ლოგისტიკის დეპარტამენტი, ბათუმის საზღვაო აკადემია, წამყვანი უნივერსიტეტები უკრაინიდან, იტალიიდან და გერმანიიდან. პროექტის კონსორციუმის ლიდერი იტალიის უნივერსიტეტია (UNIVERSITÀ DEGLI STUDI DI ROMA TOR VERGATA)

პროექტის მიზანია ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი, ორდიპლომიანი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავება ურბანულ ტრანსპორტში. პროექტი მოიცავს, როგორც ერთობლივი სასწავლო პროგრამის ჩამოყალიბებას, ასევე ქართულ და უკრაინულ უნივერსიტეტებში ლაბორატიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მაგისტრანტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა იტალიის უნივერიტეტებში.